

**შპს ქსპრეს კაპიტალ +
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
და
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**

**შპს მესპრის კაპიტალ +
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ლარში**

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა	9
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	9
3 მომზადების საფუძველი	9
4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	14
6 ფული და ფულის ეკვივალენტები	15
7 გაცემული სესხები	15
8 ძირითადი საშუალებები	17
9 არამატერიალური აქტივები	18
10 მიღებული სესხები	18
11 სხვა ვალდებულებები	19
12 საწესდებო კაპიტალი	19
13 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
14 ფინანსური რისკების მართვა	19
15 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები	23
16 დაკავშირებული მხარეები	24
17 პირობითი ვალდებულებები	25
18 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	25
19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25

ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდია 25

**შპს მისო მესარეს კაპიტალ +
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ლარში**

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +" -ის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონიერულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ჯანსუღ ზეიშვილი

ნინო ჯორთმენაძე

აღმასრულებელი დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 11 ივნისი, 2019

**შპს მისო ექსპრეს კაპიტალ +
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ლარში**

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს მისო "ექსპრეს კაპიტალ +" -ის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.


2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ჯანსუღ ზეიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 11 ივნისი, 2019



ნინო ჯორთმენაძე

მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა შპს "ექსპრეს კაპიტალ +" -ის მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს "ექსპრეს კაპიტალ +" -ის (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული არასრულყოფილი განმარტებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შესაბამეა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტის პროცესში დაგადგინეთ, რომ სესხების შესაძლო გაუფასურების რეზერვის მოდელი არ შეესაბამება ფასს 9-ის ("ფინანსური ინსტრუმენტები") მოთხოვნებს, კერძოდ: კომპანია იყენებს ეროვნული ბანკის მიხედვით დადგენილ ვადაგადაცილებულ სესხებზე დაწესებულ სტანდარტულ განაკვეთებს სესხების ჯგუფებად დაყოფის მიზნებისთვის (Loan Staging), რაც წარმოადგენს არასრულ მოდელს ფასს-ის მიხედვით შემუშავებულ ინსტრუქციასთან მიმართებაში, რომელიც ვადაგადაცილებული დღეების გარდა მოდელირებისთვის ასევე იყენებს მრავალ სხვა კრიტერიუმებს, როგორებიც არის: საკრედიტო რეიტინგის ცვლილება, რესტრუქტურისაცია, საგადასახადო შემოწმება, სესხების წინსწერებით დაფარვა, ლიკვიდურობა და ა.შ. ამას გარდა, კომპანიის მიერ გამოყენებული სტანდარტული განაკვეთები არ შეიცავს ისეთ კომპლექსურ პარამეტრებს, როგორებიც არის: სამომავლო დეფოლტის ალბათობა (PD) ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD). ამ პარამეტრების არარსებობა მოდელში თავისთავად გულისხმობს იმას, რომ სესხის დარეზერვების პოლიტიკა არ შეიცავს საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ინფორმაციას, რომელიც ფასს 9-ის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. საკარაუდოდ, მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია (გაგრძელება)

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოექცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამის ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 11 ივნისი, 2019

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

• დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვკვალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 11 ივნისი, 2019

თბილისი, საქართველო



**შპს მისო მესპრეს კაპიტალი +
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ლარში**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	130,219	81,561
გაცემული სესხები	7	1,433,675	829,232
ძირითადი საშუალებები	8	264,256	75,034
არამატერიალური აქტივები	9	100,392	110,075
საგადასახადო აქტივები		44,073	14,912
სხვა აქტივები		61,632	65,332
სულ აქტივები		2,034,247	1,176,146
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	1,256,794	657,806
გადასახდელი მოგების გადასახადი		-	6,034
სხვა ვალდებულებები	11	43,946	72,607
სულ ვალდებულებები		1,300,740	736,447
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	500,550	385,550
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		232,957	54,149
სულ კაპიტალი		733,507	439,699
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,034,247	1,176,146

ჯანსუღ ზეიშვილი

ნინო ჯორთმენაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 11 ივნისი, 2019

შპს მისო ექსპრეს კაპიტალი +
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	130,219	81,561
გაცემული სესხები	7	1,433,675	829,232
ძირითადი საშუალებები	8	264,256	75,034
არამატერიალური აქტივები	9	100,392	110,075
საგადასახადო აქტივები		44,073	14,912
სხვა აქტივები		61,632	65,332
სულ აქტივები		2,034,247	1,176,146
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	1,256,794	657,806
გადასახდელი მოგების გადასახადი		-	6,034
სხვა ვალდებულებები	11	43,946	72,607
სულ ვალდებულებები		1,300,740	736,447
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	500,550	385,550
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		232,957	54,149
სულ კაპიტალი		733,507	439,699
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,034,247	1,176,146

ჯანსუღ ზეიშვილი

დირექტორი

შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 11 ივნისი, 2019



ნინო ჯორთმენაძე

მთავარი ბუღალტერი

(Handwritten signature)

**შპს მისო მესპრეს კაპიტალი +
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ლარში**

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი		552,058	494,366
საპროცენტო ხარჯი		(107,537)	(88,287)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		444,521	406,079
შემოსავალი ჯარიმებიდან		199,609	225,805
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(2,274)	(34,161)
საკომისიო შემოსავლები, წმინდა		34	5,102
სხვა შემოსავალი		13,822	47,862
საოპერაციო შემოსავალი		655,712	650,687
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(356,528)	(319,744)
ცვეთა და ამორტიზაცია	8; 9	(33,852)	(30,534)
სესხების გაუფასურების რეზერვიდან მიღებული შემოსავალი / (ხარჯი)	7	35,229	(188,057)
სხვა ხარჯები		(3,282)	(6,758)
მოგება დაბეგვრამდე		297,279	105,594
მოგების გადასახადის ხარჯი		(40,248)	(6,034)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		257,031	99,560
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები / (ხარჯები)		257,031	99,560

ჯანსუღ ზეიშვილი

ნინო ჯორთმენაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 11 ივნისი, 2019

შპს მისო ექსპრეს კაპიტალი +
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი		552,058	494,366
საპროცენტო ხარჯი		(107,537)	(88,287)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		444,521	406,079
შემოსავალი ჯარიმებიდან		199,609	225,805
მოგება/(ხარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(2,274)	(34,161)
საკომისიო შემოსავლები, წმინდა		34	5,102
სხვა შემოსავალი		13,822	47,862
საოპერაციო შემოსავალი		655,712	650,687
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(356,528)	(319,744)
ცვეთა და ამორტიზაცია	8; 9	(33,852)	(30,534)
სესხების გაუფასურების რეზერვიდან მიღებული შემოსავალი / (ხარჯი)	7	35,229	(188,057)
სხვა ხარჯები		(3,282)	(6,758)
მოგება დაბეგვრამდე		297,279	105,594
მოგების გადასახადის ხარჯი		(40,248)	(6,034)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ხარალი)		257,031	99,560
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები / (ხარჯები)		257,031	99,560

ჯანსუღ ზეიშვილი

დირექტორი

შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 11 ივნისი, 2019



ნინო ჯორთმენაძე

მთავარი ბუღალტერი

(Handwritten signature)

**შპს მისო მესპრეს კაპიტალი +
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ლარში**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
პერიოდის მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	297,279	99,560
დამატებული:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	33,852	30,534
ცვლილება სესხების გაუფასურების რეზერვში	(35,229)	188,057
საპროცენტო ხარჯი	107,537	88,287
გაცემული სესხების შემცირება(ზრდა)	(569,214)	(495,320)
სხვა მოკლევადიანი აქტივების შემცირება(ზრდა)	(25,461)	(61,729)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა	(28,661)	(37,407)
	(219,897)	(188,018)
საპროცენტო ხარჯის გადახდა	(102,077)	(84,514)
მოგების გადასახადის გადახდა	(46,283)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	(368,257)	(272,532)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(210,393)	(5,496)
არამატერიალური აქტივის შეძენა	(3,000)	-
კაპიტალის შევსება	115,000	385,000
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფული	(98,393)	379,504
მიღებული სესხები	593,531	18,550
გადახდილი დივიდენდი	(78,223)	(79,947)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	515,308	(61,397)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	48,658	45,575
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	81,561	35,986
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	130,219	81,561

ჯანსუღ ზეიშვილი

ნინო ჯორთმენაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 11 ივნისი, 2019

**შპს მისო მესარეს კაპიტალი +
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ლარში**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება


	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
პერიოდის მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	297,279	99,560
დამატებული:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	33,852	30,534
ცვლილება სესხების გაუფასურების რეზერვში	(35,229)	188,057
საპროცენტო ხარჯი	107,537	88,287
გაცემული სესხების შემცირება(ზრდა)	(569,214)	(495,320)
სხვა მოკლევადიანი აქტივების შემცირება(ზრდა)	(25,461)	(61,729)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა	(28,661)	(37,407)
	(219,897)	(188,018)
საპროცენტო ხარჯის გადახდა	(102,077)	(84,514)
მოგების გადასახადის გადახდა	(46,283)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	(368,257)	(272,532)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(210,393)	(5,496)
არამატერიალური აქტივის შეძენა	(3,000)	-
კაპიტალის შევსება	115,000	385,000
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფული	(98,393)	379,504
მიღებული სესხები	593,531	18,550
გადახდილი დივიდენდი	(78,223)	(79,947)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	515,308	(61,397)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	48,658	45,575
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	81,561	35,986
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	130,219	81,561

ჯანსუღ ზეიშვილი

დირექტორი

შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 11 ივნისი, 2019



ნინო ჯორთმენაძე

მთავარი ბუღალტერი

6.

**შპს მისო მქსარეს კაპიტალი +
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 თანხები მოცემულია ლარში**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერი	550	34,536	35,086
საწესდებო კაპიტალი	385,000	-	385,000
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	-	99,560	99,560
გატანილი დივიდენდი	-	(79,947)	(79,947)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	385,550	54,149	439,699
საწესდებო კაპიტალის შევსება	115,000	-	115,000
პერიოდის მოგება / (ზარალი)	-	257,031	257,031
დივიდენდი	-	(78,223)	(78,223)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	500,550	232,957	733,507

ჯანსუღ ზეიშვილი

ნინო ჯორთმენაძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 11 ივნისი, 2019

შპს მისო ექსპრეს კაპიტალი +
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერი	550	34,536	35,086
საწესდებო კაპიტალი	385,000	-	385,000
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	-	99,560	99,560
გატანილი დივიდენდი	-	(79,947)	(79,947)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	385,550	54,149	439,699
საწესდებო კაპიტალის შევსება	115,000	-	115,000
პერიოდის მოგება / (ზარალი)	-	257,031	257,031
დივიდენდი	-	(78,223)	(78,223)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	500,550	232,957	733,507

ჯანსუღ ზეიშვილი

დირექტორი

შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 11 ივნისი, 2019



ნინო ჯორთმენაძე

მთავარი ბუღალტერი

Handwritten signature in blue ink.

**შპს მისო ექსპრეს კაპიტალი +
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ლარში**

შენიშვნა 1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა

შპს მისო ექსპრეს კაპიტალი + (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) დარეგისტრირდა 2014 წლის 21 აგვისტოს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ., №86ა, ბ. 46.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიკრო სესხების გაცემა. კომპანია სესხებს გასცემს ძირითადად უზრუნველყოფის გარეშე. კომპანიის მიერ გაცემული სესხებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია თანხის ზედა ზღვარი, რომელიც შეადგენს ასი ათას ლარს ერთ სესხზე.

შპს მისო "ექსპრეს კაპიტალი +" -ის დამფუძნებლები არიან:

დამფუძნებელი	31-დეკ-18	31-დეკ-17
ჯანსუღ ზეიშვილი	100%	100%
	100%	100%

შენიშვნა 2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეს რეგულაციები მოიცავს მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფულადი სახით შენატანის განხორციელებას (მინიმუმ 500,000 ათასი ლარი 2018 წლის 1 სექტემბრამდე) და ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ფასს-ის შესაბამისად. საქართველოში დღესდღეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ კლიენტებისგან დეპოზიტების მიღება და სესხად 100 ათას ლარზე (2017: 50 ათას ლარზე მეტი) მეტი თანხის გაცემა.

ისეთი განვითარებადი ეკონომიკები, როგორიც საქართველოშია, ძალიან მგრძნობიარენი არიან ბაზარზე სწრაფი ცვლილებებისა და მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე ოპერაციების წარმოება ისეთ რისკებთანაა დაკავშირებული, რაც არ არის დამახასიათებელი განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შეცვალა სამოქალაქო, სისხლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სამეწარმეო კანონები, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემოზე. საქართველოს კარგი საერთაშორისო რეპუტაცია აქვს საინვესტიციო გარემოს კუთხით. საქართველო კორუფციის დაბალი დონით გამოირჩევა საერთაშორისო გამჭვირვალობა 2016 წლის გლობალური კორუფციის ბარომეტრის მიხედვით.

შენიშვნა 3 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე. ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული პირობით აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

**შპს მისო მქსპრმს კაპიტალი +
ფინანსური ანგარიშგების ასენა-განმარტებითი შინიშნები
2018 წლის 31 დამამბრით დასრულმული ამრიოდისთვის
თანები მოცამულია ლარში**

შინიშნა 4 ძირითადი სადრიცხო პოლიტიკა

4.1 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRSs)

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა, თავიანთი დატვირთვით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებებია:

ა) ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

2018 წლის პირველი იანვრიდან ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მოიცავს შესწორებულ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების სწორ კლასიფიკაციასა და გაზომვაზე. მათ შორის ფინანსური აქტივების გაუფასურების გამოანგარიშების, განახლებულ საგარაუდო საკრედიტო ზარალის მოდელს და ჰეჯირების ახალ საბუღალტრო მოთხოვნებს. ასევე მოიცავს ბასს 39-ის მიხედვით ფინანსური აქტივების აღიარება-არ აღიარების მითითებებს.

ბ) ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 აყალიბებს ყოვლისმომცველ სტრუქტურას, რაც განსაზღვრავს თუ რამდენად, რა ღირებულებით და როდის უნდა აღიარდეს შემოსავალი. 2018 წლის პირველი იანვრიდან ფასს 15-მა ჩაანაცვლა შემოსავლების აღიარების არსებული პრინციპი, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები და ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტისთვის ნაკისრი საქონლისა და მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლების ახალი სტანდარტი, შემოსავლების გამჟღავნების შესახებ, წარმოადგენს გაუმჯობესებულ მითითებებს ტრანზაქციებზე, რომლებიც სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი.

- გ) წილობრივი დაფარვის ტრანზაქციების კლასიფიკაცია და შეფასება - ფასს 2-ის ცვლილება
- დ) ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ფასს 4 სადაზღვევო კონტრაქტებში - ფასს 4-ის ცვლილება
- ე) საინვესტიციო ქონების ტრანსფერები - ბასს 40-ის ცვლილება
- ვ) ფასის 22 უცხოური ვალუტის გარიგებები

4.2 სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 15-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება.

4.3 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს: სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და ფულს მიმდინარე ანგარიშებსა და ანაბრებს.

შენიშნა 4 ძირითადი სადრიცხო პოლიტიკა

4.4 გაცემული სესხები

გაცემული სესხი წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), პლუს სესხის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გაცემული სესხები წარდგენილია ნეტო ღირებულებით სესხების გაუფასურების რეზერვების გამოკლებით. გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება, რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ რაც კომპანია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას.

4.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამონგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

აქტივების ჯგუფი

შეფასებული საექსპლუატაციო ვადები

კომპიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობები	5-10 წელი
ავტო	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიხდება ყოველწლიურად იმისათვის, რომ შეფასდეს მათი ღირებულება შეესაბამება თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისას, ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება-ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა ჩამოწერიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა/ჩამოწერა.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.5 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის მენეჯმენტი განიხილავს, ზომ არ არის რაიმე ინდიკატორები იმისა, რომ ძირითადი საშუალებების, რომელიმე ელემენტი შესაძლოა გაუფასურებული იყოს. თუკი ასეთი ინდიკატორები არსებობს, შემდეგ ხდება აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მისი აღდგენით ღირებულების (რომელიც არის აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უდიდესი ღირებულება) შედარება. თუკი აღმოჩნდება, რომ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება აღემატება მის აღდგენით ღირებულებას, მაშინ ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება მაშინ, როდესაც ჩანს, რომ გაუფასურება აღარ არსებობს ან შემცირებულია. გაუფასურების ზარალის აღდგენა ჩაირთვება მოგება-ზარალის იმავე მუხლში, რომელშიც გაუფასურების ზარალის ხარჯი აღიარდება. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება ისეთიანად, რომ ამ აღდგენის შემდეგ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც ექნებოდა აქტივს ადრე რომ არ ყოფილიყო გაუფასურების ზარალი აღიარებული.

4.6 არამატერიალური აქტივები

შექმნილი არამატერიალური აქტივების აღრიცხვა ხდება მასზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზირებით, ამორტიზაციის და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა 10 წელია.

4.7 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ვინაიდან ისინი დაკავშირებული არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება აღმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. აქტივების საგადასახადო (დასაბეგრი) ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებებზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.7 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განაზოცრცელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგვრის მომენტის გადატანა მოგების გამოქუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და, შესაბამისად, ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგება). ამ მოდელის მიხედვით, გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

4.8 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში გამოითვლება ამორტიზებული ღირებულებით.

4.9 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. კომპანიის წესდებაში ცვლილება (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში, ა.შ.) ხდება კომპანიის პარტნიოროთა გადაწყვეტილებით. კაპიტალი აღიარდება, როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალი იმდენად, რამდენადაც ეს რეალურად პარტნიოროთა შენატანია.

4.10 საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის, ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

4.11 ჯარიმები, სხვა შემოსავლები და ხარჯები

კლიენტებზე დაკისრებული ჯარიმები, დაგვიანების ან გადაუხდელობის გამო, აღიარდება საკასო მეთოდით. მენეჯმენტი ფიქრობს, რომ ჯარიმიდან შემოსავლებზე საკასო მეთოდის გამოყენება უფრო გონივრულია, უკეთ ასახავს რეალურ საოპერაციო შედეგებს და, შესაბამისად, გვაწვდის სწორ ინფორმაციას მსგავს შემოსავლებზე.

4.12 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განზოცრციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

**შპს მისო მქსპრმს კაპიტალი +
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ლარში**

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.12 უცხოური ვალუტის გადაფასება (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ევრო	3.0701	3.1044

4.13 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები (გაცემული სესხები და მოთხოვნები) და ვალდებულებები (მიღებული სესხები და ვალდებულებები) ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად. შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

შენიშვნა 5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადა – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

არამატერიალური აქტივების მომსახურეობის ვადა - კომპანიის მიერ მომსახურეობის ვადის შეფასება, ეფუძნება მენეჯმენტის შეფასებებს მსგავს აქტივებთან მიმართებაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ამორტიზაციას. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ამორტიზაციის ხარჯის კორექტირება.

**შპს მისო მქსპრმს კაპიტალი +
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ლარში**

შენიშვნა 5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული ზარალი - აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას. მაშინ, როდესაც, სესხის ამოღება შეუძლებელია, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების რეზერვის მიმართ. კომპანია ჩამოწერს სესხის დარჩენილ ნაწილს და სესხის გაუფასურების შესაბამის რეზერვს, როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ შეუძლებელია სესხის ამოღება და როდესაც შესრულებდა სესხის ამოსაღებად გამიზნული ყველა მოქმედება.

შენიშვნა 6 ფული და ფულის ეკვივალენტები

	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
ფული ბანკში	6.1	91,812	1,759
სალარო		803	79,792
ფული გზაში		37,594	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები		130,219	81,561
6.1 ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტის მიხედვით		31-დეკ-18	31-დეკ-17
ლარი		130,119	81,480
აშშ დოლარი		100	81
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები		130,219	81,561

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი კომპანიის ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია BB- ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

შენიშვნა 7 გაცემული სესხები

კომპანია სესხებს გასცემს ინდივიდუალურ მეწარმეებზე და ფიზიკურ პირებზე საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების მიზნით. კომპანიის მიერ გაცემული ყველა სესხი არის მოკლევადიანი. სესხები არის არაუზრუნველყოფილი.

7.1 მთლიანი სასესხო პორტფელი ძირის და დარიცხული პროცენტის მიხედვით	31-დეკ-18	31-დეკ-17
ძირი	1,514,197	943,510
პროცენტი	1,559	3,032
მთლიანი სასესხო პორტფელი	1,515,756	946,542
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(82,081)	(117,310)
წმინდა პორტფელი	1,433,675	829,232

**შპს მისო მქსპრმს კაპიტალი +
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 თანხები მოცემულია ლარში**

შენიშვნა 7 გაცემული სესხები (გაგრძელება)

7.2 სესხების გაუფასურების რეზერვი

კომპანია მისაღებ ძირზე და პროცენტზე ქმნის ანარიცხებს. 2018 წელს კომპანია გაცემულ სესხებს არეზერვებს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებაში მყოფი სესხი რეზერვდება 30%-ით, 60-დან 120 დღემდე 50%-ით, ხოლო 120 დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში რეზერვდება 100%-ით. 2017 წლის ბოლოსთვის საეჭვო სესხების შეფასებისთვის გამოიყენებოდა შემდეგი მიდგომა: დარეზერვება ზდება სესხის გაცემის მომენტში 2%-ში, იმ შემთხვევაში თუ სესხი ვადაგადაცილებაშია 30 დღემდე, რეზერვი იზრდება 10%-მდე. თუ ვადაგადაცილება არის 30-60 დღის შუალედში, რეზერვი იზრდება 30%-მდე. 61-დან 90 დღემდე - 50%, ხოლო, თუ სესხის ვადაგადაცილება აჭარბებს 90 დღეს, მაშინ 100%-ით ზდება დარეზერვება. რეზერვდება როგორც მისაღები ძირი, ასევე გადასახდელი პროცენტი.

ცვლილება სესხის გაუფასურების რეზერვში	31-დეკ-18	31-დეკ-17
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	(117,310)	(79,558)
პლიუს: მიმდინარე პერიოდის საეჭვო სესხები	(274,161)	(188,057)
მინუს: მიმდინარე პერიოდში ჩამოწ. უიმედო სესხები	-	150,305
მინუს: აღდგენილი საეჭვო სესხები	309,390	-
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	(82,081)	(117,310)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვადაგადაცილებული დღეები	რეზერვის პროცენტი	სესხის თანხა	რეზერვის თანხა
0-30	0%	1,408,233	-
31-60	30%	17,872	5,362
61-120	50%	19,666	9,833
> 120	100%	66,886	66,886
სულ		1,512,657	82,081

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვადაგადაცილებული დღეები	რეზერვის პროცენტი	სესხის თანხა	რეზერვის თანხა
0-30	2%	898,237	17,965
31-60	10%	7,946	795
61-90	30%	17,456	5,237
91-120	50%	13,293	6,647
> 120	100%	157,415	157,415
სულ		1,094,346	188,057

**შპს მისო მქსპრეს კაპიტალი +
 ფინანსური ანგარიშგების ასენა-განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 თანხები მოცემულია ლარში**

შენიშვნა 8 ძირითადი საშუალებები

	შენობა- ნაგებობები	ავტო სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი	ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება					
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის	-	40,100	40,944	24,321	105,365
შეძენებუ	-	-	5,496	-	5,496
ჩამოწერები	-	-	-	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	-	40,100	46,440	24,321	110,861
შეძენები	170,000	26,700	5,261	8,430	210,391
ჩამოწერები	-	-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	170,000	66,800	51,701	32,751	321,252
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის	-	(5,525)	(6,342)	(6,080)	(17,947)
პერიოდის ცვეთა	-	(5,260)	(7,756)	(4,864)	(17,880)
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	-	(10,785)	(14,098)	(10,944)	(35,827)
პერიოდის ცვეთა	(2,266)	(5,483)	(8,556)	(4,864)	(21,169)
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	(2,266)	(16,268)	(22,654)	(15,808)	(56,995)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2017 წლის 31 დეკემბრისათვის	-	29,315	32,342	13,377	75,034
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბრისათვის	167,734	50,532	29,047	16,943	264,256

**შპს მისო მქსპრმს კაპიტალი +
ფინანსური ანგარიშგების ასენა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ლარში**

შენიშვნა 9 არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს ფინანსური აღრიცხვის და სესხების პროგრამა, რომელიც შეიძინეს 2016 წელს.

ისტორიული ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ნაშთი 2017 წლის I იანვრისთვის	126,543	126,543
შეძენები	-	-
ჩამოწერები	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	126,543	126,543
შეძენები	3,000	3,000
ჩამოწერები	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	129,543	129,543
დაგროვილი ამორტიზაცია		
ნაშთი 2017 წლის I იანვრისთვის	(3,814)	(3,814)
პერიოდის ამორტიზაცია	(12,654)	(12,654)
ცვეთის ჩამოწერა	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	(16,468)	(16,468)
პერიოდის ამორტიზაცია	(12,683)	(12,683)
ცვეთის ჩამოწერა	-	-
ნაშთი პერიოდის ბოლოს	(29,151)	(29,151)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	110,075	110,075
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	100,392	100,392

შენიშვნა 10 მიღებული სესხები

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
მიღებული სესხები ფიზიკური პირებისგან	10.1 (668,794)	(238,206)
ქართული ბანკები	(588,000)	(419,600)
სულ	(1,256,794)	(657,806)
10.1 მიღებული სესხების ვადიანობა		
	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
მოკლევადიანი სესხები	(1,251,334)	(654,033)
გადასახდელი პროცენტი	(5,460)	(3,773)
სულ	(1,256,794)	(657,806)

**შპს მისო მქსპრეს კაპიტალი +
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ლარში**

შენიშვნა 11 სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	40,354	69,693
გადავადებული საგადასხადო ვალდებულება	-	1,352
სხვა ვალდებულებები	3,592	1,562
სულ	43,946	72,607

შენიშვნა 12 საწესდებო კაპიტალი

2018 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 115,000 ლარით და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 500,550 ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენა 385,550 ლარს.

შენიშვნა 13 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018 წელი	2017 წელი
ხელფასის ხარჯი	233,947	234,824
იჯარის ხარჯი	35,714	28,744
საკონსულტაციო ხარჯი	18,880	-
საბანკო მომსახურების ხარჯი	13,838	14,988
რეკლამის ხარჯი	10,550	700
კომუნიკაციის ხარჯი	8,686	5,244
სხვა საერთო ხარჯი	34,913	35,244
სულ	356,528	319,744

შენიშვნა 14 ფინანსური რისკების მართვა

14.1 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებები - კომპანიის მიერ მიღებული სესხების ნაწილი მიღებულია აშშ დოლარში. აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსის ცვლილება შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კომპანიისათვის.

ქვემოთ მოცემულია კომპანიას ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში).

**შპს მისო მქსპრეს კაპიტალი +
ფინანსური ანგარიშგების ასენა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ლარში**

შენიშვნა 14 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

14.1 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრისათვის

	ლარი	დოლარი 1 დოლარი = 2.6766 ლარს	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	130,119	100	130,219
გაცემული სესხები (წმინდა)	1,433,675	-	1,433,675
სხვა აქტივები	51,544	-	51,544
სულ ფინანსური აქტივები	1,615,338	100	1,615,439
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	667,942	588,852	1,256,794
სხვა ვალდებულებები	43,946	-	43,946
სულ ფინანსური ვალდებულებები	711,888	588,852	1,300,740
წმინდა სავალუტო პოზიცია	903,450	(588,752)	

2017 წლის 31 დეკემბრისათვის

	ლარი	დოლარი 1 დოლარი = 2.5922 ლარს	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	80,780	781	81,561
გაცემული სესხები (წმინდა)	829,232	-	829,232
სხვა აქტივები	44,850	-	44,850
სულ ფინანსური აქტივები	954,862	781	955,643
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	510,051	147,755	657,806
სხვა ვალდებულებები	72,607	-	72,607
სულ ფინანსური ვალდებულებები	582,658	147,755	730,413
წმინდა სავალუტო პოზიცია	372,203	(146,974)	

**შპს მისო მქსპრეს კაპიტალი +
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ლარში**

შენიშვნა 14 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

14.1 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების ზეგავლენის ანალიზი კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე სხვა ცვლადების უცვლელობის დროს. უარყოფითი თანხები წარმოადგენს წმინდა შემცირებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან კაპიტალში, დადებითი თანხები კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

		2018	2017
ვალუტა	ცვლილება კურსში	გავლენა მოგებაზე	გავლენა მოგებაზე
აშშ დოლარი	-10%	58,875	14,697
	-5%	29,438	7,349
	5%	(29,438)	(7,349)
	10%	(58,875)	(14,697)

14.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას. მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, კომპანია ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის არსებულ აქტივებსა და ვალდებულებებს დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება იმ მონაცემებს, რასაც მენეჯმენტი შიდა მმართველობითი მიზნებისათვის იყენებს.

2018 წლის 31 დეკემბერი	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 3 წლამდე ვადის მქონე	3-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	130,219	-	-	-	130,219
გაცემული სესხები	1,433,675	-	-	-	1,433,675
სხვა აქტივები	51,544	-	-	-	51,544
სულ აქტივები	1,615,438	-	-	-	1,615,438
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	1,256,794	-	-	-	1,256,794
სხვა ვალდებულებები	40,790	-	-	-	
სულ ვალდებულებები	1,297,584	-	-	-	1,256,794
ლიკვიდურობის სხვაობა	317,854	-	-	-	358,644
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	317,854	-	-	-	

**შპს მისო მქსპრეს კაპიტალი +
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდებისათვის
თანხები მოცემულია ლარში**

შენიშვნა 14 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

14.2 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბერი	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 3 წლამდე ვადის მქონე	3-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	81,561	-	-	-	81,561
გაცემული სესხები	829,232	-	-	-	829,232
სხვა აქტივები	44,850	-	-	-	44,850
სულ აქტივები	955,643	-	-	-	955,643
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	238,206	-	-	419,600	657,806
სულ ვალდებულებები	238,206	-	-	419,600	657,806
ლიკვიდურობის სხვაობა	717,437	-	-	(419,600)	297,837
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	717,437	717,437	717,437	297,837	

14.3 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან, სესხებიდან და მოთხოვნებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ფული ბანკში	91,812	1,759
გაცემული სესხები	1,433,675	829,232
სულ	1,525,487	830,991

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოშობს საკრედიტო რისკს კომპანიისათვის. კომპანიას შემუშავებული აქვს არაფორმალური საკრედიტო პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ეყრდნობა აჭარის ბაზარზე არსებულ კლიენტებზე ინფორმაციის დეტალურ მოძიებას და შესწავლას, რის შემდეგაც ხდება გადაწყვეტილების მიღება სესხის გაცემა-არგაცემაზე.

შენიშვნა 15 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია, განისაზღვროს ის ღირებულება რაც, შეფასების თარიღისათვის, შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას, რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტირების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია ფართოდ იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო/ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

საანგარიშო თარიღისათვის კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა რეალური ღირებულების შეფასების მეთოდები ეფუძნება, მათ შორის, თვალსაჩინო არასაბაზრო მონაცემების გამოყენებას.

15.1 რეალური ღირებულების იერარქია

კომპანია რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის შემავალი მონაცემების შემდეგ იერარქიას

დონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები აქტიურ ბაზარზე.

დონე 2 შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი (მაგრამ არა იდენტური) ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; ნაკლებად აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის; ან შეფასების სხვა ისეთი მეთოდები, რომელთა ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემავალი მონაცემი ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

დონე 3 მონაცემები, რომლებიც ღიად ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის შეფასების მეთოდიც მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ღიად ხელმისაწვდომ მონაცემებს და ასეთი არახელმისაწვდომი შემავალი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

შპს მისო მქსპრმს კაპიტალი +**ფინანსური ანგარიშგება****2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდებისათვის****თანხები მოცემულია ლარში****შენიშვნა 16 დაკავშირებული მხარეები**

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2018

	მოთხოვნები	მიღებული სესხები	გადასახდელი პროცენტი
აქციონერები	51,545	-	-
სულ	51,545	-	-

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წელი

	ღირებულება	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
აქციონერები	78,223	-	36,400
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	13,440
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	5,700	-
სულ	78,223	5,700	13,440

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2017

	მოთხოვნები	მიღებული სესხები	გადასახდელი პროცენტი
აქციონერები	-	-	-
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	6,881	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	-
სულ	6,881	-	-

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2017 წელი

	ღირებულება	ხარჯი	ხარჯი
აქციონერები	-	-	-
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	79,947	5,191	29,625
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	10,800
სულ	79,947	5,191	40,425

შენიშვნა 17 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, კომპანია წარმოადგენს სასამართლო პროცესის მხარეს. ანგარიშგების თარიღისათვის, ხელმძღვანელობისათვის არ არის ცნობილი კომპანიის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დავის გადატანის რისკის მქონე დავების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

შენიშვნა 18 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

შენიშვნა 19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის დასაწყისში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონში შესული ცვლილებების თანახმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა, 2019 წლის 1 ივლისამდე, ფულადი ფორმით განაღდებული კაპიტალი უნდა გაზარდონ 1,000,000 ლარამდე. 2019 წლის აპრილის და მაისის თვეებში კომპანიამ გაზარდა ფულადი ფორმით განაღდებული კაპიტალი 861,000 ლარამდე.

Moore Stephens ABC

Moore Stephens ABC, LLC
6 Marjanishvili Str. 0102, Tbilisi,
Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moorestephens.ge
www.moorestephens.com

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს „ექსპრეს კაპიტალ +“-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით პირობითი მოსაზრება შპს „ექსპრეს კაპიტალ +“-ის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 11 ივნისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციას და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ 2019 წლის 31 აგვისტოს წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მიხეილ აბაიაძე

31 აგვისტო 2019 წელი

საქართველო, თბილისი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

Moore Stephens ABC

Moore Stephens ABC, LLC
6 Marjanishvili Str. 0102, Tbilisi,
Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moorestephens.ge
www.moorestephens.com

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს „ექსპრეს კაპიტალ +“-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით პირობითი მოსაზრება შპს „ექსპრეს კაპიტალ +“-ის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 11 ივნისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციას და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ 2019 წლის 31 აგვისტოს წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მიხეილ აბაიაძე

31 აგვისტო 2019 წელი

საქართველო, თბილისი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011





შპს მისო ექსპრეს კაპიტალ +
LTD MFOExpress Capital +

**შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ექსპრეს კაპიტალ +“-ის
მმართველობითი ანგარიშგება**

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად საანგარიშო წლისათვის,
რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს



სარჩევი

კომპანიის მოკლე მიმოხილვა	3
კომპანიის მართვა და ადამიანური რესურსები	4
2018 წლის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა	4
კომპანიის ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა	5-6
რეგულაციები	6-7
პორტფელის ძირითადი მაჩვენებლები	7-9
ვალდებულებები და დაფინანსება	9
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და კოეფიციენტები	9-10
ძირითადი რისკები და მართვა	10-12
2019 წლის გეგმების შეჯამება	13



შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ექსპრეს კაპიტალ“
მმართველობის ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

კომპანიის მოკლე მიმოხილვა

შპს მისო „ექსპრეს კაპიტალ +“ დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების იურიდიული ფორმით 2014 წელს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა და წარმოადგენს მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე არაუზრუნველყოფილი მიკრო სესხების გაცემას, კომპანიის მიერ გაცემული სესხების ძირითადი უზრუნველყოფა წარმოადგენს „სოლიდარული თავდებობა“, კომპანიის მიერ გაცემული თითოეული სესხი გამყარებულია „თავდებობით“, რომელთა სესხზე შესაბამისობა და კრიტერიუმები მკაცრად და ცალსახად გაწერილია კომპანიის შიდა პოლიტიკა პროცედურებში, კომპანიის მიერ გაცემული სესხებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია თანხის ზედა ზღვარი, რომელიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის თანხმად ერთ მსესხებელზე ან/და მსესხებელთა ჯგუფზე შეადგენს 100 000 ლარს.

ექსპრეს კაპიტალ + 2017 წლამდე მოქმედებდა მხოლოდ „შპს“-ს სტატუსით, ხოლო 2017 წლიდან უკვე რეგისტრირებულია, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში, ხოლო საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება ეროვნული ბანკის მიერ და ანგარიშვალდებულია მის წინაშე, რაც თავისთავად გულისხმობს საფინანსო სფეროში მოქმედი სხვა არარეგულირებულ იურიდიულ პირებთან შედარებით მკაცრ კონტროლსა და რეგულაციას.

რეგულაციები ასევე მოიცავს საწესდებო კაპიტალის ფულადი სახით შენატანის განხორციელებას (მინიმუმ 500,000 ათასი ლარი 2018 წლის 1 სექტემბრამდე) და ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ფასს-ის შესაბამისად.

კომპანიის ეფექტურმა მართვამ უზრუნველყო კომპანიის განვითარება, მისი სტაბილურ და ძლიერ ფინანსურ ინსტიტუტად ჩამოყალიბება. 2018 წელს განხორციელდა კომპანიის საწესდებო კაპიტალის საგრძნობი ზრდა.



კომპანიის მართვა და ადამიანური რესურსები

კომპანიის მმართველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის მეშვეობით, რომელთა არჩევის წესი ცალსახად განსაზღვრულია ორგანიზაციის წესდებით.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან (1 საბჭოს თავმჯდომარე, 1 მოადგილე და 1 თავისუფალი წევრი).

კომპანიის 100 %-იანი წილის მფლობელი და დირექტორია ჯანსული ზეიშვილი.

2018 წელს კომპანიაში დასაქმებულთა რიცხვი საშუალოდ 18 ადამიანი იყო.

2018 წელს კომპანიაში შეიქმნა სტანდარტი, რომლის ძირითადი პრინციპებია შეჯიბრებითობა და კონკრეტული ვაკანსიისათვის ადეკვატური ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მქონე კადრების შერჩევა. კომპანიის მიერ დასაქმებულთან შრომის ხელშეკრულების დადება ხდება ღია და გამჭვირვალე პროცედურის საფუძველზე, რაც შესაბამისობაშია შრომის მოქმედ კანონმდებლობასთან.

2018 წლის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

პასუხისმგებლიანობა და ანგარიშვალდებულება კომპანიის მართვის ძირითადი ღირებულებებია კომპანიის მმართველობითი გუნდი სრულად აცნობიერებს, რომ მისი ნებისმიერი გადაწყვეტილება და მოქმედება შეესაბამება და ითვალისწინებს კომპანიის საუკეთესო ინტერესებს. მართვის პროცესში გამჭვირვალობა და ინფორმაციის ღიაობა არის კომპანიის მყარი განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი.

კომპანია 2018 წელში გაცემდა რეგულაციებზე მორგებულ სესხებს. დაიხვეწა სესხების დაკრედიტების პოლიტიკა და შესაბამისობაში მოყვანილ იქნა კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

კომპანიის მიერ 2018 წელში გაცემული სესხების ძირითადი ნაწილი უზრუნველყოფის გარეშეა. თუმცა შიგადაშიგ ფიქსირდება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემაც.

2018 წელში კომპანიამ მიზნად დაისახა განვითარება სხვადასხვა ქრილში, შესაბამისად აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ახალი პროდუქტების ჩამოყალიბებაზე, სავალუტო ოპერაციების აქტიურად გაშვებაზე, ასევე სხვადასხვა რეგიონში ახალი ფილიალის/განყოფილების გახსნის საკითხზე.



კომპანიის ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა

2018 წელში კომპანია თავისი ძირითადი პროდუქტის მიწოდებას ახორციელებდა აჭარის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, სათაო ოფისის საშუალებით, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმში, კომპანიას თავისი ფილიალი განთავსებული აქვს იჯარით აღებულ ფართში.

2019 წელს კომპანია გეგმავს ქსელის გაფართოებას ახალი ფილიალის/განყოფილების გახსნით სხვადასხვა რეგიონებში.

აღსანიშნავია, რომ ფილიალების საქმიანობის ძირითადი მიმართულება მცირე და საშუალო ბიზნეს

სესხების და ავტოსესხების გაცემა იქნება, ხოლო განყოფილებების საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლება ძვირფასი ლითონებისა და ქვებით უზრუნველყოფილი სესხები გაცემა და სავალუტო ოპერაციების განხორციელება.

კომპანიის მიერ თითოეული პროდუქტის წარმატებით გაყიდვა დიდწილად დამოკიდებულია

კლიენტთა მომსახურების ხარისხზე, დროზე და საოპერაციო პროცესების ეფექტიანობაზე. კომპანია

მუდმივად ზრუნავს საკრედიტო პროდუქტების საოპერაციო პროცედურების გამარტივებასა და

განვითარებაზე, 2018 წელს კი ამ მიმართულებით მთავარ მიზანს წარმოადგენდა მომსახურების

ხარისხის გაუმჯობესება, საოპერაციო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, პროცედურების

ავტომატიზაცია, მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურებების დანერგვა.

მომსახურების გაუმჯობესებისა და პროცესების გამჭვირვალობის მიზნით შეიქმნა კლიენტთა მომსახურების სტანდარტი, რომელშიც დეტალურად არის ასახული შესაბამისი საკრედიტო პროდუქტისთვის მომსახურებისა და პროცესების მსვლელობის ეტაპები. აღნიშნული სტანდარტი დაინერგა მომსახურების მიწოდების ყველა არხისათვის.

2018 წელს ფიქსირდება მომხმარებელთა კმაყოფილება დისტანციური მომსახურების მიმართულებით (რაც ითვალისწინებს ჩარიცხვის აპარატების ე.წ ფეი ბოქსის აპარატების საშუალებით თანხის გადახდას 23:00 საათამდე) კერძოდ, დაკვირვების შედეგად



დადგინდა, რომ მომხმარებელთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა დღის საათებში დაკავებული სამუშაო გრაფიკის გამო კომპანიის პროდუქტებით სარგებლობას, ხოლო ამ მომსახურებამ ეფექტური და კომფორტული გადახდა კლიენტებისათვის სესხის თანხის გადახდა და ნაკლებად ირღვეოდა სესხზე დამტკიცებული გრაფიკები.

კომპანია მუდმივ რეჟიმში ახორციელებს ბაზარზე დაკვირვებას, აკეთებს შეფასებებს და დასკვნებს შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზნით, ბაზრის კვლევაში იგულისხმება კონკურენტული ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული პროდუქტების შესწავლა, ბაზარზე არსებული მომხმარებლების მდგომარეობის შესწავლა და მათზე მორგებული პროდუქტების დამუშავება და შემდგომში მათზე შეთავაზება. აღნიშნული კვლევები ორგანიზაციაში დოკუმენტალურად არ ინახება (არ დგება სათანადო დოკუმენტი), ორგანიზაცია ახორციელებსკომპიუტერ განხილვებსა და ამავე წესით გადაწყვეტილების მიღება.

რეგულაციები

2017-2018 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მკაცრად იქნა რეგულირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის წესები, ასევე საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდა საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან დაკავშირებული ურთიერთობები, დადგინდა ზედა ზღვარი, რომლის ფარგლებშიც კომპანიას შეუძლია სესხით სარგებლობისთვის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა, შემოვიდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ცნება. ამასთან დაკავშირებით, კომპანიამ დაიწყო ბიზნეს პროცესებისა და საოპერაციო პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწა და ახალ რეგულაციებთან მორგება, მისი საქმიანობის საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. აღნიშნულის განხორციელების შედეგად, მიღწეულ იქნა კომპანიის საქმიანობის სრული შესაბამისობა კანონმდებლობის გამკაცრებულ მოთხოვნებთან.

2018 წლის დასაწყისიდან, კომპანიაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა შესაბამისობისა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის სამსახურის როლი. სამსახურის ძირითადი ფუნქციაა კომპანიის საკანონმდებლო რეგულაციებთან მუდმივ შესაბამისობაში ყოფნის კონტროლი, მომხმარებელთა პრეტენზიების მიღება-დამუშავება და ანგარიშგება, ასევე კლიენტებისა და ოპერაციების რეგულარული სკრინინგი და მონიტორინგი უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ფაქტების აღკვეთა / მიტიგაციის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს განხორციელდა საერთაშორსოდ აღიარებული AML სტანდარტებისა და FATF-ის რეკომენდაციების თანახმად პროცედურა/პოლიტიკებისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, რომელიც იძლევა, როგორც



კლიენტთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ვერიფიკაციის საშუალებას, ასევე სანდო ინფორმაციის მიღებას, მათი პოლიტიკური სტატუსის და ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით მონაცემთა ბაზაში გადამოწმდა კომპანიის ყველა აქტიური მომხმარებელი, იმაში დარწმუნების მიზნით, რომ კომპანიას წარსულში საქმიანი ურთიერთობა არ ჰქონია უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასა თუ ტერორიზმის დაფინანსებაში შემჩნეულ პირებთან. 2018 წლის განმავლობაში ინტენსიური AML ტრენინგი ჩატარდა, თანამშრომლებს. კომპანიაში დაინერგა მომხმარებელთა პრეტენზიებისა და მოსაზრებების მიღების სისტემა, როგორც ელექტრონულ, ასევე წერილობით და სატელეფონო რეჟიმში.

პორტფელის ძირითადი მაჩვენებლები

შპს მისო „ექსპრეს კაპიტალ+“ 2018 წლის მდგომარეობით მიკრო ბიზნესსესხების გაცემის კუთხით მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა სიაში მოწინავე რიგებშია და ამ პროდუქტით ბაზარზე საკმაოდ კონკურენტუნარიან გარემოს ქმნის.

მიუხედავად არსებული რისკებისა და გამოწვევებისა, კომპანიამ, წინა წლების მსგავსად, განაგრძო სწრაფი ზრდა, რაც 2018 წლის მანძილზე სასესხო პორტფელის 72%-ით.



2019 წლის განმავლობაში კომპანია გეგმავს სასესხო პორტფელის მინიმუმ **20%-**იან ზრდას. ზრდაში გათვალისწინებულია, რომ საბლანკო სესხები დარჩება კომპანიის სტრატეგიულ და ძირითად პროდუქტად. ასევე, იგეგმება სავალუტო ოპერაციების



შპს მისო ექსპრეს კაპიტალ + LTD MFOExpress Capital +


კუთხით, ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხების, ძვირფასი ლითონებისა და ქვების უზრუნველყოფით სესხების გაცემის მიმართულებით მნიშვნელოვანი გააქტიურება.

სასესხო პორტფელი კომპანიის ძირითადი აქტივია და იგი მთლიანი აქტივების 67%-ს შეადგენს. 2018 წლის განმავლობაში კომპანია საფინანსო ბაზარზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ძირითადი საკრედიტო პროდუქტებით:

ა. საბლანკო სესხები

ბ. უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი;

სასესხო პორტფელის ზრდასთან ერთად კომპანიამ მნიშვნელოვნად გაამკაცრა სესხების შესაძლო დანაკარგების აღრიცხვის სტრატეგია. 2018 წლის მდგომარეობით სასესხო პორტფელის შესაძლო დანაკარგების რეზერვის დინამიკა შემდეგია:



კომპანია მისაღებ ძირზე და პროცენტზე ქმნის ანარიცხებს. 2018 წელს კომპანია გაცემულ სესხებს არეზერვებს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებაში მყოფი სესხი რეზერვდება 30%-ით, 60-დან 120 დღემდე 50%-ით, ხოლო 120 დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში რეზერვდება 100%-ით. ასევე რესტრუქტურირებული სესხი რეზერვდება ერთი ბიჯით ზევით. 2017 წლის ბოლოსთვის საექვო სესხების შეფასებისთვის გამოიყენებოდა შემდეგი მიდგომა: დარეზერვება ხდებოდა სესხის გაცემის მომენტში 2%-ში, იმ შემთხვევაში თუ სესხი



ვადაგადაცილებაშია 30 დღემდე, რეზერვი იზრდება 10%-მდე. თუ ვადაგადაცილება არის 30-60 დღის შუალედში, რეზერვი იზრდება 30%-მდე. 61-დან 90 დღემდე - 50%, ხოლო, თუ სესხის ვადაგადაცილება აჭარბებს 90 დღეს, მაშინ 100%-ით ხდება დარეზერვება.

ვალდებულებები და დაფინანსება

კომპანიის აქტივების ზრდის დაფინანსების ძირითადი წყაროებია კაპიტალი, ადგილობრივი საბანკო ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები, ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრები. 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით კომპანიის მთლიანი კაპიტალი(733507ლ) შეადგენს მისი აქტივების(2034247ლ) 36 %-ს. კაპიტალის ადეკვატური მოცულობით შენარჩუნების მიზნით კომპანიაში მოქმედებს შემდეგი ორი ძირითადი წესი:

- კომპანიის კაპიტალი უნდა შეადგენდეს მისი აქტივების არანაკლებ 35%-ს. აღნიშნულ ზღვართან მიახლოების შემთხვევაში კომპანიას შეუძლია მისი აქტივების ზრდა დააფინანსოს ადგილობრივი საბანკო ინსტიტუტებიდან, მოზიდული სახსრებიდან ან სხვა დაფინანსების მიღების ხარჯზე;

- კომპანიის დივიდენდის განაწილების პოლიტიკის შესაბამისად კომპანიას შეუძლია დივიდენდის სახით გაანაწილოს საანგარიშგებო პერიოდის მოგების არაუმეტეს 15 %-ისა. სასესხო დაფინანსების ნაწილში კომპანიის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ახალი სესხების საბანკო დაწესებულებებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუციებიდან მოზიდვა, ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრების მუდმივ დონეზე შენარჩუნება, ან გეგმაზომიერი შემცირება.

აქვე აღსანიშნავი ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2018 წელში არ მომხდარა წილის გასხვისება ან რაიმე სახის მნიშვნელოვანი ვალის აღება, დაგეგმილი ზრდის დაფინანსების მიზნებისათვის 2019 წელში იგეგმება კომპანიის სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა და შემდგომ აქციების გამოშვება, რაც ხელს შეუწყობს ფიზიკური პირებისაგან მიღებული სესხების მოცულობის შემცირებას.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და კოეფიციენტები

კოეფიციენტების დათვლის მიზნებისთვის საერთო შემოსავალი დაანგარიშებულია შემდეგნაირად - საერთო საპროცენტო შემოსავალს პლუს შემოსავლები საკომისიოებიდან და პირგასამტეხლოებიდან.

1. საერთო საპროცენტო შემოსავალი: 2017წ- 494 366ლ, 2018წ- 552 058ლ
2. წმინდა ფინანსური შემოსავალი(საპროცენტო შემოსავლებს მინუს საპროცენტო ხარჯები) :2017 წელს 406 079 ლ, 2018 წელს 444 521ლ



შპს მისო ექსპრეს კაპიტალ + LTD MFOExpress Capital +

3. მთლიანი ხარჯები(გარდა მოგების გადასახდის ხარჯისა) საერთო შემოსავლებთან%:
2017 წელს-(შემოსავალი-773 135ლარი,ხარჯი-667 541) 86%. 2018 წელს-(შემოსავალი-800 752ლარი, ხარჯი-503 473ლარი) 62%

4. ყველა ხარჯი პერსონალის ხარჯის გარდა საერთო შემოსავლებთან %: 2017 წელს -55%. 2018 წელს - 34%

5. პერსონალის ხარჯები საერთო შემოსავლებთან %: 2017 წელს 30 %, 2018 წელს 29 %

6. წმინდა მოგების % (წმინდა მოგება/ საერთო შემოსავლებთან): 2017 წელს- 13 %, 2018 წელს- 32%

7.მოგების გადასახადის ხარჯი: 2017 წელს შეადგინა 6034 ლარი, 2018 წელს 40248 ლარი.

კოეფიციენტების დათვლის მიზნებისთვის საერთო შემოსავალი დაანგარიშებულია შემდეგნაირად - საერთო საპროცენტო შემოსავალს პლუს შემოსავლები საკომისიოებიდან და პირგასამტეხლოებიდან.

2018 წელს კომპანიის საპროცენტო შემოსავალი(2018წ- 552 058ლ) 2017 წელთან (494 366ლ) შედარებით 11%-ით გაიზარდა და 57692 ლარი . 2018 წელს წმინდა მოგებამ კომპანიის მთლიანი შემოსავლების 32% შეადგინა, მაშინ როდესაც 2017 წელს იგივე მაჩვენებელი 12% იყო. აღნიშნული მაჩვენებლის გაზრდის ძირითადი მიზეზებია სასესხო პორტფელის შესაძლო დანაკარგების ცვლილების ზრდა, სხვა (ჯარიმებიდან და წინსწრების საკომისიოებიდან) შემოსავლების მატება .

აქვე ავღნიშნავთ დამატებით, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს მისო „ექსპრეს კაპიტალ +“-ის ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა ამომწურავად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას და არ მივიჩნევთ საჭიროდ ჩვენი მხრიდან დამატებით განმარტების გაკეთებას.

ძირითადი რისკები და მართვა

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებები კომპანიის მიერ მიღებული სესხების ნაწილი მიღებულია აშშ დოლარში. აქედან



გამომდინარე, სავალუტო კურსის ცვლილება შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კომპანიისათვის.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი - წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას. მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, კომპანია ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი - არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ექვივალენტებიდან, სესხებიდან და მოთხოვნებიდან.

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება. გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოშობს საკრედიტო რისკს კომპანიისათვის. კომპანიას შემუშავებული აქვს არაფორმალური საკრედიტო პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ეყრდნობა აჭარის ბაზარზე არსებულ კლიენტებზე ინფორმაციის დეტალურ მოძიებას და შესწავლას, რის შემდეგაც ხდება გადაწყვეტილების მიღება სესხის გაცემა-არ გაცემაზე.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკების იმ ძირითადი ჯგუფების იდენტიფიკაციასა და მართვას, რომელთა მიმართაც კომპანიის ოპერაციები სენსიტიურია და რომელმაც შესაძლოა, მისი ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობას საფრთხე შეუქმნას. რისკების ამ ჯგუფების მართვისა და მიტიგაციის მიზნით შემუშავებულია სამოქმედო გეგმა და პროცედურები, რომლის განხორციელებაზე პასუხისმგებელია კომპანიის კონკრეტული სტრუქტურული ერთეულები.



რისკის ტიპი	პასუხისმგებელი ერთეული	მართვის მექანიზმი
საოპერაციო და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო /რეგულაციების რისკები	საოპერაციო დეპარტამენტი, იურიდიული განყოფილება	საკანონმდებლო სიახლეების მუდმივი მონიტორინგი; ახალი და არსებული პროდუქტების შესაბამისობა საკანონმდებლო და მარეგულირებლის მოთხოვნებთან; კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან სრულ შესაბამისობაში მყოფი შიდა ნორმატიული აქტების, პროცედურებისა და წესების შემუშავება და მუდმივი განახლება; ოპერაციების, ტრანზაქციებისა და დოკუმენტაციის რეგულარული ანალიზი და აუდიტი; ავტორიზაციის დონეები, გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა.
სავალუტო	ფინანსური დეპარტამენტი	უცხოურ ვალუტაში ნომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების პერიოდული შეფასება და ღია სავალუტო პოზიციების დადგენა; ლარში ნომინირებული დაფინანსების წილის ზრდა სასესხო ვალდებულებებში და დოლარული ვალდებულებების მინიმიზაცია.
ლიკვიდურობა	ფინანსური დეპარტამენტი	ფულადი ნაკადების (შემოსავლებისა და გასაღების) შეფასება როგორც საოპერაციო, ასევე გრძელვადიან პერიოდებზე; ვალდებულებებისა და აქტივების ვადიანობის იმგვარი მართვა და სტრუქტურირება, რომ ფულადი გასაღების გათვალისწინებით დაცული იყოს ფულის თავისუფალი ნაშთის დადგენილი რეზერვები; მსხვილი ფულადი გასაღებისთვის ფულადი სახსრების დადგენილი წესით წინასწარი მობილიზირების უზრუნველყოფა;
საპროცენტო	ფინანსური დეპარტამენტი	ბაზრისთვის ხარისხიანი ფინანსური პროდუქტების შეთავაზება კანონმდებლობით ნებადართული ფასის დიაპაზონის ზედა ნაწილში; დემინგური და რისკებთან შეუსაბამო ფასებისა და ფასდათმობებისთვის თავის არიდება; ფინანსირების განაკვეთის შემცირებაზე მუდმივი მუშაობა, კრედიტორებისა და მოზიდული სახსრების ტიპების დივერსიფიკაცია; დაფინანსების წყაროებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ალტერნატივების შესახებ მაქსიმალურად სრული ინფორმაციის ფლობა.



2019 წლის გეგმების შეჯამება

2019 წელი კომპანიისთვის მნიშვნელოვანი წელი იქნება.

2018 წლის დასაწყისში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონში შესული ცვლილებების თანახმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა, 2019 წლის 1 ივლისამდე, ფულადი ფორმით განაღდებული კაპიტალი უნდა გაზარდონ 1,000,000 ლარამდე, რომელზეც კომპანიის მიერ უკვე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს.

2019 წელში იგეგმება ბაზრისთვის ახალი, მომხმარებელზე მორგებული და ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სავალუტო ოპერაციების განხორციელებას, მომხმარებლებისათვის კონკურენტუნარიანი სავალუტო კურსის შეთავაზებას და მომხმარებელთა მოზიდვას.

ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მომსახურების ხარისხის შემდგომ ზრდას, მომხმარებელთა კმაყოფილების კიდევ უფრო ამაღლების მიზნით.

კომპანია აქტიურად მუშაობას გეგმავს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

კომპანიის პროდუქტების ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით, იგეგმება ფილიალების/განყოფილების გახსნა.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციისა და ფინანსური რისკების მართვის მიმართულებებს.

ზემოთაღნიშნული გეგმისა და მიზნების ხორცშესხმა მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება, რადგანაც კომპანიას მათი წარმატებით განხორციელება მოუწევს, ერთის მხრივ არსებული რეგულაციების შემდგომი გამკაცრების, ხოლო მეორეს მხრივ, კიდევ უფრო გამძაფრებული კონკურენციის პირობებში.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 31 აგვისტო შემდეგი პირის მიერ:

შპს მისო „ექსპრეს კაპიტალ +“-ის დირექტორი

ჯანსუღი ზეიშვილი



შპს მისო ექსპრეს კაპიტალ +
LTD MFOExpress Capital +

2019 წლის გეგმების შეჯამება

2019 წელი კომპანიისთვის მნიშვნელოვანი წელი იქნება.

2018 წლის დასაწყისში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონში შესული ცვლილებების თანახმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა, 2019 წლის 1 ივლისამდე, ფულადი ფორმით განაღდებული კაპიტალი უნდა გაზარდონ 1,000,000 ლარამდე, რომელზეც კომპანიის მიერ უკვე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს.

2019 წელში იგეგმება ბაზრისთვის ახალი, მომხმარებელზე მორგებული და ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სავალუტო ოპერაციების განხორციელებას, მომხმარებლებისათვის კონკურენტუნარიანი სავალუტო კურსის შეთავაზებას და მომხმარებელთა მოზიდვას.

ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მომსახურების ხარისხის შემდგომ ზრდას, მომხმარებელთა კმაყოფილების კიდევ უფრო ამაღლების მიზნით.

კომპანია აქტიურად მუშაობას გეგმავს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

კომპანიის პროდუქტების ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით, იგეგმება ფილიალების/განყოფილების გახსნა.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციისა და ფინანსური რისკების მართვის მიმართულებებს.

ზემოთაღნიშნული გეგმისა და მიზნების ხორცშესხმა მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება, რადგანაც კომპანიას მათი წარმატებით განხორციელება მოუწევს, ერთის მხრივ არსებული რეგულაციების შემდგომი გამკაცრების, ხოლო მეორეს მხრივ, კიდევ უფრო გამძაფრებული კონკურენციის პირობებში.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 31 აგვისტო შემდეგი პირის მიერ:

შპს მისო „ექსპრეს კაპიტალ +“-ის დირექტორი

ჯანსუღი ზეიშვილი